**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# კვირიკეწმინდა

კვირიკეწმინდა (1933–90 – კორტი), სოფელი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონი ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (ველევის თემი). რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ხოტეურის (კრიხულის მარცხ. შენაკადი; რიონის აუზი) ხეობაში. ზ. დ. 1040 მ, ამბროლაურიდან 8 კმ. 34 მცხ. (2014).

სოფლის თავდაპირველი სახელწოდება (კვირიკეწმინდა) წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIII–XIV სს-ით დათარიღებული ლაბეჭინის სახარების ერთ-ერთ მინაწერში. სოფლის ჩრდ.-დას-ით, 300-ოდე მ დაშორებით, დგას X– XI სს. წმ. კვირიკესა და ივლიტას ეკლესია (იხ. კვირიკეწმინდის წმინდა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია).

*წყარო*: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

*ლიტ.*: ბ ე რ ა ძ ე თ., რაჭა, თბ., 2004; ბ ო ჭ ო რ ი ძ ე გ., რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., რაჭა. შტრიხები წარსულიდან, თბ., 2013; Georgian Architecture, vol. 6, Leiden: Inter Documentation Company (IDC), 2004.

***მ. დვალი***